

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, წარმოადგინოს შპს „ლიდერ-ფუდის“ (შემდგომში კომპანია) მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად და ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- მსს ფასს თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საქმიანობის უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2020 წლის 21 დეკემბერს.

შპს „ლიდერ-ფუდის“ დირექტორი:

თამარ ჩიხელიძე



შპს „ლიდერ-ფუდი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	3	23,329,390 (18,754,712)	17,937,101 (14,785,159)
საერთო მოგება		4,574,677	3,151,942
სხვა შემოსავალი			
მიწოდების ხარჯები	4	173,910 (38,806)	81,643 (12,164)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი			
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(4,651,653)	(3,704,939)
სულ საოპერაციო ხარჯები	9,10	(479,155)	(334,001)
საოპერაციო მოგება		(5,169,613)	(4,051,105)
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი ნეტო		(421,026)	(817,520)
მოგება დაბეგვრამდე		(8,301)	(26)
მოგების გადასახადის ხარჯი	5	(429,327)	(817,546)
წმინდა მოგება/(ზარალი)	7	-	-
		(429,327)	(817,546)

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 21 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

თამარ ჩიხელიძე

მთავარი ბუღალტერი

ლაშა სვანიშვილი



8-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს მთავრობამ, 2020 წლის მარტის თვეში, მიიღო გადაწყვეტილება თითქმის ყველა ბიზნეს საქმიანობის შეჩერების შესახებ, გარკვეული გამოწვევების გარდა. სწორედ გამოწვევის წარმოადგენა კომპანიის საქმიანობა, რომელიც არ შეჩერებულა არც ერთი დღით.

საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა მრავალი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება კომპანიების მხარდასაჭერად, რომლებმაც განსაკუთრებული ზიანი მიიღეს მსოფლიო პანდემიის გამო. მათ შორის არის მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები, რომლებიც დაწესდა დასაქმების სტიმულირების და სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით და მოქმედებს 2020 წლის მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში. აღნიშნული საგადასახადო შეღავათებით კომპანიამ 2020 წლის შესაბამის პერიოდში მიიღო სარგებელი.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2019 წლის საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას უფიქსირდება დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები, თუმცა ოპერაციები განხორციელებულია საბაზრო ფასები.

21. ფინანსური რისკები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკებთან, როგორებიცაა საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. კომპანიის რისკის მართვა მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი ზეგავლენის მაქსიმალურად შემცირებას.

კომპანიის სტრატეგია არის გაფართოება და შესაბამისად, მოითხოვს თანხების დაბანდებას. თანხების მოზიდვა ხდება დამფუძნებლების მხრიდან საწესდებო კაპიტალის გაზრდის მეშვეობით. ამასთან, დამფუძნებლები გამოთქვამენ მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში კომპანიის წინაშე არსებული ვალდებულებების დაფარვაზე საწესდებო კაპიტალის გაზრდის ხარჯზე.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2020 წლის 21 დეკემბერს.

შპს „ლიდერ-ფუდის“ დირექტორი

თამარ ჩიხელიძე



შპს ლიდერ - ფუდი

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თბილისი, 2020

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, წარმოადგინოს შპს „ლიდერ-ფუდის“ (შედგომში კომპანია) მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად და ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- მსს ფასს თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საქმიანობის უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2020 წლის 21 დეკემბერს.

შპს „ლიდერ-ფუდის“ დირექტორი:

თამარ ჩიხელიძე

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა..	8
3. ამონაგები	14
4. სხვა შემოსავალი	14
5. მოგება დაბეგვრადე	15
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15
7. მოგების გადასახადის ხარჯი	16
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	16
9. ძირითადი საშუალებები	17
10. არამატერიალური აქტივები	18
11. გადავადებული გადასახადი	18
12. სესხი და საბანკო გარანტია	18
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
15. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება	19
16. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები	20
17. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
18. პირობითი ვალდებულებები	20
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	20
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
21. ფინანსური რისკები	21
22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	21

შპს „ლიდერ-ფუდი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	3	23,329,390	17,937,101
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(18,754,712)	(14,785,159)
საერთო მოგება		4,574,677	3,151,942
სხვა შემოსავალი	4	173,910	81,643
მიწოდების ხარჯები		(38,806)	(12,164)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	6	(4,651,653)	(3,704,939)
ცვეთა და ამორტიზაცია	9,10	(479,155)	(334,001)
სულ საოპერაციო ხარჯები		(5,169,613)	(4,051,105)
საოპერაციო მოგება		(421,026)	(817,520)
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი ნეტო		(8,301)	(26)
მოგება დაბეგვრამდე	5	(429,327)	(817,546)
მოგების გადასახადის ხარჯი	7	-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		(429,327)	(817,546)

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 21 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

თამარ ჩიხელიძე

მთავარი ბუღალტერი

ლაშა სვანიშვილი

8-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ლიდერ-ფუდი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	2,562,453	1,163,563
არამატერიალური აქტივები	10	83,798	41,660
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,646,251	1,205,222
მოკლევადიანი აქტივები			
საგადასახადო აქტივები		230,569	162,750
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	14	75,426	167,896
მარაგები	8	2,874,559	1,355,862
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	636,891	203,997
ფული და ფულის ეკვივალენტები	17	749,518	394,500
სულ მიმდინარე აქტივები		4,566,962	2,285,004
სულ აქტივები		7,213,214	3,490,227
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	5,791,777	3,591,167
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	16	(2,906,458)	(2,477,131)
სულ კაპიტალი		2,885,320	1,114,036
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული გრძელვადიანი სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	13	92,148	73,305
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	4,235,747	2,302,886
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,327,894	2,376,191
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		7,213,214	3,490,227

8-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ლიდერ-ფუდი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2018 წლის 1 იანვარი	3,075,979	(1,659,585)	1,416,394
საწესდები კაპიტალის გაზრდა/შემცირება	515,188		515,188
წლის სრული შემოსავალი		(817,546)	(817,546)
გამოცხადებული დივიდენდი			-
2018 წლის 31 დეკემბერი	3,591,167	(2,477,131)	1,114,036
საწესდები კაპიტალის გაზრდა/შემცირება	2,200,610		2,200,610
წლის სრული შემოსავალი	-	(429,327)	(429,327)
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	5,791,777	(2,906,458)	2,885,320

8-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ლიდერ-ფუდი“
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		(429,327)	(817,546)
კორექტირებები:			
ცვეთა	9,10	479,155	334,001
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		49,828	(483,544)
მარაგების ზრდა/შემცირება		(1,518,696)	262,162
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/შემცირება		(264,999)	(94,900)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/შემცირება		1,876,278	196,691
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/შემცირება		(67,819)	(62,211)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		74,591	(181,802)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,920,184)	(288,956)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,920,184)	(288,956)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საკუთარი კაპიტალის ზრდა/შემცირება		2,200,610	517,209
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		2,200,610	517,209
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება		355,018	46,451
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		394,500	348,049
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	17	749,518	394,500

8-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლიდერ-ფუდი“ ყოფილი შპს „ეკონმიქსი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2015 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონი, ისანიჩეხოვის ქ., №23/22.

შპს „ლიდერ-ფუდი“ არის ძირითადი სასურსათო და პირველადი მოხმარების საყოფაცხოვრებო საქონლის საცალო ვაჭრობის მარკეტების ქსელური კომპანია. კომპანია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ტერიტორიაზე გაყიდვებს ახორციელებდა 24 სუპერმარკეტის ტიპის მაღაზიების მეშვეობით.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს ლიდერი-ფუდი (ს/ნ 206337052).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ” (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად. უნდა ჩაითვალოს, რომ ზემოთ ხსენებულ სტანდარტზე კომპანია გადავიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია თავის ოქმების კრებულებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ქართულ ლარში და ასევე ქართულ ლარში აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებას. ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებებია გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტების შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი

აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისათვის.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარული წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

სამუშაო ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს ბანკის შუალედურ ანგარიშზე.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. სხვა მწარმოებლებზე ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და დღგ-ს გადასახადების გამოკლებით.

მიღებული კრედიტ ნოტების აღიარება ხდება ხელშეკრულებაში ან შეთახმებაში დათქმული პირობიდან გამომდინარე, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, კერძოდ როდესაც მომწოდებელთან შედარებისას ფიქსირდება დავალიანების ნაკლებობა და დავალიანების შემცირების მიზეზი მომწოდებელს არ აქვს ახსნილი, ან როდესაც კრედიტ-ნოტი მიღებულია ბონუსის სახით კრედიტ ნოტიდან შემოსავალი ემატება საოპერაციო შემოსავალს. მომწოდებლის მხრიდან ინვოისში არსებულ ჩამონათვალთან შედარებისას აღმოჩენილი საქონლის დანაკლისის შემთხვევაში მომწოდებელი იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს დანაკლისის ღირებულება. ეს არსებითად ხარჯების ანაზღაურების კრედიტ-ნოტას გავს და ამ დროს შემთხვევაში ხდება ზემოთ თქმული კრედიტ-ნოტის შემოსავლში აღიარება.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

კომპანია არ სარგებლობს სესხით საოპერაციო საქმიანობისთვის აუცილებელი თანხების უზრუნველყოფა ხდება დამფუძნებლის მხრიდან საწესდებო კაპიტალის გაზრდის გზით.

გადასახადები

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო დავალიანება ეყრდნობა წლის დასაბეგრ მოგებას, რომელიც იანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაცხადებული მოგებისგან, იმ შემოსავლის ან ხარჯების მუხლების გამო, რომლებიც დასაბეგრი ან გამოსაქვითია სხვა წლებში და აგრეთვე იმ მუხლების გამო, რომლებიც არ იბეგრება ან იქვითება. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა;
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის;
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას;
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები;
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები;

საქართველოს საგადასახადო სისტემაში ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო

სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მარკეტების ინვენტარი	20%
ოფისის აღჭურვილობა	20%
სატრანსპორტი საშუალებები	20%
სხვა	20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით განაკვეთით 10%. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური

ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლომატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. შპს ლიდერ-ფუდში არ ფიქსირდება ფინანსური იჯარა. კომპანიაში ფიქსირდება ჩვეულებრივი იჯარა.

იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საქონლის მიღება ხდება საინვოისო ღირებულებით რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და დასაწყობების ხარჯები. პერიოდის ბოლოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში- პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით. კომპანიაში შიდა კონტროლის მექანიზმების ფარგლებში მოქმედებს მონიტორინგის სამსახური რომლის მოვალეობაში შედის საქონლის ინვენტარიზაცია და ვადაგასული საქონლის ქსელიდან ამიღება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ფიზიკურ პირებზე და მცირე შემთხვევაში ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების კორექტირება აისახება კორექტირების თარიღით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურეობის ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის

ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

3. ამონაგები

ამონაგები მოიცავს შემოსავლებს საქონლისა და მზა პროდუქციის რეალიზაციიდან. აგრეთვე, შემოსავალს მარკეტინგული მომსახურებიდან, როგორც საცალო ასევე მცირე საბითუმო მყიდველებისთვის. თავის მხრივ მარკეტინგული მომსახურება მოიცავს შემოსავლებს მიმწოდებლების მხრიდან დასაყიდი პროდუქციის განთავსებისთვის დაქირავებული პროდუქციის განლაგების თაროს ღირებულებას დახლ-მაცივარის განლაგებისთვის საჭირო ფართის ღირებულებას, ე.წ. „ქემ ბექს“ და სხვადასხვა სახის წვრლმან მომსახურებებს.

	2019	2018
შემოსავალი საქონლისა და მზა პროდუქციის რეალიზაციიდან	22,032,912	17,300,426
შემოსავალი მარკეტინგული მომსახურებიდან	1,296,477	636,675
სულ:	23,329,390	17,937,101

4. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს 2019 და 2018 წლებში მიღებულ შემოსავლებს: ფილიალის ჯარიმებიდან შემოსავალი, ვალის პატიებიდან, უსასყიდლოდ მოწოდებული საქონელი და სხვადასხვა სახის არასაოპერაციო შემოსავლები.

	2019	2018
შემოსავალი ფილიალის ჯარიმებიდან	125	1,985
შემოსავალი ვალის პატიებიდან	1,206	4,043
უსასყიდლოდ მოწოდებული საქონელი	9,567	5,553
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	163,013	70,062
სულ:	173,910	81,643

5. მოგება დაბეგვრამდე

დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას ჩართულია შემდეგი ხარჯები:

	2019	2018
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18,754,712	14,785,159
მიწოდების ხარჯები	38,806	12,164
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	4,651,653	3,704,939
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი ნეტო	8,301	26

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების სტრუქტურა 2019 და 2018 წლებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
საოფისე ხარჯები	17,141	6,290
საკომუნიკაციო ხარჯი	26,307	18,050
კომუნალური ხარჯი დენი	477,009	380,963
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	52	3,983
საჯარო რეესტრის ხარჯი	1,009	167
დაცვის მომსახურების ხარჯი	22,861	13,130
GPRS სალარო აპარატის მომსახურება	4,600	1,778
შრომის ანაზღაურება	2,169,072	1,753,921
მომსახურების ანაზღაურება	30,513	38,694
კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯი	522	1,404
იურიდიული მომსახურების ხარჯი	-	3,125
ქალაქ თბილისის მერია	400	-
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	4,950	4,050
უნიფორმის ხარჯი	-	10,221
საპენსიო ხარჯი კომპანიიდან	44,752	-
საიჯარო ქირა	1,456,857	1,018,306
დერატიზაციის ხარჯი	1,828	5,259
ექსპერტიზის ხარჯი	1,720	2,968
ავტომობილის რემონტის ხარჯი	9,785	8,181
მივლინებების ხარჯები	750	595
სადაზღვევო ხარჯები	1,739	512
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	338
ძირითადი საშუალების ექსპლუატაციის ხარჯი	24,325	24,196
ვადაგასული პროდუქციის ჩამოწერის ხარჯი	1,165	1,742
ვადაგასული პროდუქციის განადგურება (ნაგავსაყრელი)	56	30

ბანკის მომსახურების ხარჯი	98,573	76,354
სხვა ხარჯი	45,620	18,643
ფილიალების ხარჯი (მენეჯერი)	109,509	96,383
ფილიალების ხარჯი (სხვადასხვა)	100,540	20,443

შენიშვნა: შრომის ანაზღაურება მოიცავს როგორც ხელფასს აგრეთვე დროებით დაქირავებულის ანაზღაურებას.

7. მოგების გადასახადი ხარჯი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას. 2019 და 2018 წლებში აღიარებული მოგების გადასახადის ხარჯი წარმოქმნილი უნდა იყოს ზემოაღნიშნული მოდელის საფუძველზე გაცემული დივიდენდის დაბეგვრით. საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები მოიცავს გასაყიდად გამზადებულ პროდუქციას, დასაფასოებელ და მცირედ გადსამუშავებელ ნედლეულს, დაბრუნებულ და ვადაგადაცილებულ საქონელს. ამავე ანგარიშშია გაერთიანებული საწვავის საწყობიც.

	31.12.2019	31.12.2018
საქონელი	2,822,791	1,311,980
ვადაგასული მზა პროდუქციის საწყობი	1,244	999
ხორცის დაშლის საწყობი	1,523	-
შიდა გადაადგილების საწყობი	18,980	7,588
ნედლეული და მასალები	1,237	18
ხორცის საწყობი (წარმოება)	20	0
დაუმთავრებელი წარმოება (ხორცი)	314	548
კოდის გარდაქმნის საწყობი	614	11
დაუმთავრებელი წარმოება (მზა პროდუქციისთვის)	25,736	34,039
მზა პროდუქციის საწყობი	1,149	520
უკან დაბრუნებული მზა პროდუქციის საწყობი	144	5
საწვავის საწყობი	808	155
სულ:	2,874,559	1,355,862

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მარკეტების ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტი საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ:
ბალანსი 2018 წლის 01 იანვარი	1,258,155	58,052	-	409,966	1,726,173
შემოსვლა	172,154	7,967	29,061	77,752	286,934
გასვლა					-
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	1,430,309	66,020	29,061	487,715	2,013,105
შემოსვლა	1,230,908	16,618	10,200	615,817	1,873,543
გასვლა	(4,145)		-	(205)	(4,350)
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	2,657,072	82,638	39,261	1,103,328	3,882,299
დაგროვილი ცვეთა					
ბალანსი 2018 წლის 01 იანვარი	(408,454)	(23,510)	-	(89,327)	(521,291)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(259,271)	(12,998)	(3,932)	(52,055)	(328,256)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	-
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	(667,724)	(36,508)	(3,932)	(141,382)	(849,546)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(373,083)	(14,220)	(6,796)	(76,200)	(470,300)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	-
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	(1,040,807)	(50,728)	(10,728)	(217,582)	(1,319,845)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
ბალანსი 2018 წლის 01 იანვარი	849,701	34,542	-	320,639	1,204,882
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	762,585	29,512	25,130	346,333	1,163,559
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	1,616,265	31,910	28,533	885,746	2,562,453

10. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი შედგენს სადრიცხოვო პროგრამა APEX-ს. საადრიცხოვო პროგრამის დაწერგვა და შესაბამისად კაპიტალიზაციის დასრულდა 2017 წელს. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით 10%-იანი განაკვეთის მიხედვით.

ისტორიული ღირებულება	
ბალანსი 2018 წლის 01 იანვარი	57,458
შემოსვლა	-
გასვლა	-
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	57,458
შემოსვლა	50,993
გასვლა	-
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	108,451
დაგროვილი ცვეთა	
ბალანსი 2018 წლის 01 იანვარი	(10,053)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(5,746)
გასვლა	-
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	(15,799)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(8,855)
გასვლა	-
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	(24,654)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
ბალანსი 2018 წლის 01 იანვარი	47,405
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	41,659
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	83,797

11. გადავადებული გადასახადი

კომპანიას გადავადებული გადასახდის ვალდებულება არ ერიცხება.

12. სესხი და საბანკო გარანტია

კომპანიას სასესხო ვალდებულებები არ გააჩნია.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	31.12.2019	31.12.2018
ადგილობრივი საქონლის შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულება	3,912,348	2,304,907
ძირითადი საშუალებების შესყიდვიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	272,996	64,713
სხვადასხვა მომწოდებლები	50,403	8,591
გადასახდელი ხელფასები	92,148	-
სულ ვალდებულებები	4,327,894	2,378,211

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური მოთხოვნები	31.12.2019	31.12.2018
მოთხოვნები იურდიულ პირებზე საქონლის და მომსახურების მიწოდებიდან	11,561	203,997
მოთხოვნები მარკეტინგული მომსახურებიდან	303,963	-
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	3,430	-
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	317,937	-
სულ ფინანსური მოთხოვნები	636,891	203,997
არაფინანსური მოთხოვნები		
გაცემული ავანსები	75,426	167,896
სულ არაფინანსური მოთხოვნები	75,426	167,896
სულ მოთხოვნები	712,317	371,893

შენიშვნა: საგარანტო ანაწიცი არ შექმნილა, რადგან საქონელი იყიდება მწარმოებლის გარანტიით.

15. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება

კომპანიის დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ვალდებულება, რომელიც ეფუძნება მომსახურე პერსონალთან დადებულ ხელშეკრულებას შეადგენს:

2018 წლის 31 დეკემბრისთვის 0 ლარს (დაერიცხა 1 753 921 ლარი, გადახილ იქნა 1 753 921 ლარი). 2019 წლის 31 დეკემბრისთვის 92 148 ლარს (დაერიცხა 2 172 968 ლარი, გადახილ იქნა 2 080 820 ლარი).

16. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს სამაღაზიო და სასაწყობე ფართი. იჯარის ხელშეკრულება საშუალო ვადაა ხუთი წელი. თვეში ერთხელ ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული საიჯარო გადასახდელები, რომლებიც 2019 და 2018 წლებში აღიარებულია ხარჯად შეადგენს 1,456,857 და 1,018,305.96 ლარს, შესაბამისად.

17. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	198,949	272,189
ეროვნულ ვალუტაში ნაღდი ფულის შუალედური ანგარიში	597	316
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	499,878	87,319
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	490	490
ბანკის შუალედური ანგარიში	341	338
ფული საბანკო ანგარიშებზე	49,262	33,848
სულ:	749,518	394,500

18. პირობითი ვალდებულებები

კომპანიას არ უფიქსირდება პირობითი ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 კორონავირუსის გავრცელება პანდემიად გამოაცხადა. COVID-19-მა გლობალურად გამოიწვია ბიზნესის საქმიანობაში მკვეთრი შეფერხება და ეკონომიკური მომავლის გაურკვევლობის მნიშვნელოვანი ზრდა. ვალუტის კურსის მკვეთრი უარყოფითი ცვლილება საქმიანობის დაგეგმვას და მომავლის პროგნოზირებას კიდევ უფრო ართულებს, მაგრამ კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შემდეგ ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების დაძლევის.

საქართველოს მთავრობამ, 2020 წლის მარტის თვეში, მიიღო გადაწყვეტილება თითქმის ყველა ბიზნეს საქმიანობის შეჩერების შესახებ, გარკვეული გამონაკლისების გარდა. სწორედ გამონაკლის წარმოადგენა კომპანიის საქმიანობა, რომელიც არ შეჩერებულა არც ერთი დღით.

საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა მრავალი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება კომპანიების მხარდასაჭერად, რომლებმაც განსაკუთრებული ზიანი მიიღეს მსოფლიო პანდემიის გამო. მათ შორის არის მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები, რომლებიც დაწესდა დასაქმების სტიმულირების და სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით და მოქმედებს 2020 წლის მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში. აღნიშნული საგადასახადო შეღავათებით კომპანიამ 2020 წლის შესაბამის პერიოდში მიიღო სარგებელი.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2019 წლის საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას უფიქსირდება დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები, თუმცა ოპერაციები განხორციელებულია საბაზრო ფასები.

21. ფინანსური რისკები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკებთან, როგორებიცაა საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. კომპანიის რისკის მართვა მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი ზეგავლენის მაქსიმალურად შემცირებას.

კომპანიის სტრატეგია არის გაფართოება და შესაბამისად, მოითხოვს თანხების დაბანდებას. თანხების მოზიდვა ხდება დამფუძნებლების მხრიდან საწესდებო კაპიტალის გაზრდის მეშვეობით. ამასთან, დამფუძნებლები გამოთქვამენ მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში კომპანიის წინაშე არსებული ვალდებულებების დაფარვაზე საწესდებო კაპიტალის გაზრდის ხარჯზე.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2020 წლის 21 დეკემბერს.

შპს „ლიდერ-ფუდის“ დირექტორი

თამარ ჩიხელიძე